



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 538
12/03/2018

ქალაქი ბათუმი

538-05-4-201803121738



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი ინსტრუქციის (სამუშაოს აღწერილობა) დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს
54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული
ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის პროფესიულ საჯარო მოხელეთა
თანამდებობრივი ინსტრუქცია (სამუშაოს აღწერილობა) თანახმად დანართისა.

2. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების
განყოფილებას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ.
ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი
გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა